პროფესიონალი

№80

PROFESIONALI



MTM

Director: Mevlud Getsadze

Leselidze st. L2. N2
Terjola, Georgia

Agmaschenebeli AVE N81.
Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302;
+995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48

Email: ltdmtm@gmail.com



პროფესიონალი+

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ჰ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

28.02.2017-28.03.2017

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

კანონმდებლებმა, პლენარულ სხდომაზე დაჩქარებული წესით, მეორე და მესამე მოსმენით განიხილეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ორგანული კანონპროექტი და მისი თანმდევი პროექტები.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ნიკოლოზ გაგუას განმარტებით, ცვლილების თანახმად, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ნაცვლად, საქართველოს ეროვნულ ბანკი განისაზღვრება. საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა. დეპუტატებს აღნიშნულ კანონპროექტთა პაკეტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და მის მიღებას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“. წარმოდგენილი პროექტით

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტიდან ხდება იმ დებულებების ამოღება, რომელიც საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფორმირების წესსა და ანგარიშვალდებულებას, ეხება ვინაიდან აღნიშნული სააგენტო უქმდება.

დეპუტატებმა ასევე, ერთხმად დაუჭირეს მხარი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონპროექტთა პაკეტს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისი თანმდევი კანონპროექტების წარდგენამდე, იმ მიზეზებზე ისაუბრა, რამაც აღნიშნული პროექტის ინიცირება განაპირობა.

მან საგზაო მოძრაობის კუთხით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები წარადგინა, რომლიც მიხედვით, ბოლო 10 წლის განმავლობაში მდგომარეობა მკვეთრად არის შეცვლილი. „ინოვაციური მეთოდოლოგიების და მექანიზმების შემოღებით, რომელიც გავლენას მოახდენს მძღოლების ქცევაზე, გვინდა გავაუმჯობესოთ ვითარება ამ კუთხით. მთავრობამ დაამტკიცა სტრატეგია, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკას განსაზღვრავს. შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უკვე მსჯელობს საგზაო მოძრაობის სხვა ისეთ შემადგენელ კომპონენტებზე როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ავტოპარკი, განათლება და ა.შ“, - განმარტა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, რომლის ინიციატორიც საქართველოს მთავრობაა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში პრევენციული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, მართვის მოწმობაზე 100 ქულიანი სისტემის დაკავშირება შემოდის. კერძოდ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მართვის მოწმობაზე მინიჭებული 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას გამოიწვევს. კალენდარული წლის განმავლობაში სამართალდარღვევების გამო ქულების 0-მდე შემცირება მართვის უფლების შეჩერებას გამოიწვევს და ამ უფლების მისაღებად პირი იძულებული იქნება გამოცდა ხელახლა ჩააბაროს უფლების შეწყვეტიდან არაუადრეს 2 თვისა.

როგორც საკითხის თაობაზე მომხსენებელმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, აღნიშნა, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე არ გავრცელდება მართვის მოწმობისათვის მინიჭებული ქულათა შემცირების წესი.

შალვა ხუციშვილის განმარტებით, აღნიშნული ქულათა სისტემა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე, ევროკავშირის 20-ზე მეტ ქვეყანაშია დანერგილი.

მომხსენებლის განმარტებითვე, მძღოლი მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიიღებს ინფორმაციას იმ შემთხვევაში, თუ მისი ქულების რაოდენობა 20-მდე ჩამოვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დეპუტატების მხრიდან დამოითქვა

აზრთა სხვადასხვაობა. ისინი მიიჩნევენ, რომ სასურველია, ადამიანმა შეტყობინება თითოეულ ჯარიმასთან დაკავშირებით ან 50 ქულამდე დასვლის შემდეგ მაინც მიიღოს.

ასევე, გამოითქვა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მართვის მოწმობის 1 წლით შეჩერება შემცირდეს 6 თვემდე. დეპუტატები დაინტერესდნენ რა საინფორმაციო ღონისძიებების გატარებას გეგმავს ხელისუფლება იმასთან დაკავშირებით, რომ მძღოლებმა ზუსტად იცოდნენ რომელი დარღვევისთვის რამდენი ქულით დაჯარიმდებიან, ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალი რეგულაციების ამოქმედებისთვის დაწესდეს გარდამავალი პერიოდი.

შალვა ხუციშვილის თქმით, მართვის მოწმობის შეჩერების ვადებთან და ჯარიმების ოდენობებთან დაკავშირებით შესაძლებელი იქნება პროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს იმსჯელონ.

მინისტრის მოადგილემ, დეპუტატების საპასუხოდ განმარტა, რომ მთავრობა გეგმავს 2-3 თვიან საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას. ასევე, განაცხადა, რომ ახალი რეგულაციების ასამოქმედებლად, კანონის მიღების შემდეგ 3-4 თვიანი გარდამავალი პერიოდი დაწესდება.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების განხორციელებასაც ითვალისწინებს.

დღეს მოქმედი ნორმით, სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენისას, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება შეცვალოს ფულადი ჯარიმით. ცვლილების თანახმად, პირს მართვის უფლების შეჩერების შეცვლის მოთხოვნით უფლებამოსილი ორგანოსთვის მიმართვის უფლება მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან არა უადრეს 3 თვისა წარმოეშობა.

პროექტის თანახმად, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა 10 ლარიდან 30 ლარამდე იზრდება. გაიზრდება, აგრეთვე, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა. წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით, სიჩქარის გადაჭარბებასთან დაკავშირებით დაჯარიმება მოხდება გრადაციული სისტემით.

მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები უკონტაქტო პატრულირების შემოღებას ითვალისწინებს.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შალვა ხუციშვილმა განაცხადა, უკანტაქტო პატრულირებას განახორციელებენ პოლიციის ავტომანქანები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე თუმცა, პოლიციის ეს ავტომობილები საპარტულო პოლიციის დაქვემდებარებაში, ანუ იმ ქვედყოფის დაქვემდებარებაში იქნება, რომელსაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უფლებამოსილება არ აქვს. მისივე თქმით, სადაც პოლიციის აღნიშნული ავტომობილები იმოძრავებენ, ყველა შესასვლესა და გასასვლელში იქნება დამონტაჟებული ამოსაცნობი ნიშნები, იმის თაობაზე, რომ ამ მონაკვეთზე ხორციელდება უკონტაქტო პატრულირება.

შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ შეთანხმების თანახმად, ქულების შემცირების გამო მოხდება ერთი წლით მართვის მოწმობის შეჩერება და არა გაუქმება, ხოლო ვისაც სურვილი ექნება ამ ერთი წლის განმავლობაში აღიდგინოს მართვის მოწმობა, უნდა ჩააბაროს გამოცდა.

82 ხმით, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ წარადგინა. კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პაატა კვიჟინაძე უხელმძღვანელებს.

განსაკუთრებული ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა ეთმობოდეს

ცნობილია, რომ საქართველოს დედაქალაქის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაზე არსებითი გავლენა მრავალმა მოვლენამ იქონია. შესაბამისად, დღეისათვის თბილისი სამხრეთ კავკასიის ცენტრია და მისი მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მრავალფეროვან ტრანსფორმაციას და რეკონსტრუქციას განიცდის. ამასთან, ძალზე რთულია და მწვავეა ქალაქის ურბანიზაციის განვითარების საკითხები. აქტუალურია, როგორც მწვანე საფარის და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ისე მომრავლებული ტრანსპორტით გამოწვეული პრობლემა, რაც ქალაქის შიგნით ავტომანქანების გადაადგილებასაც აფერხებს და ფეხით მოსიარულეებსაც უქმნის დისკომფორტს. ამას დაემატა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მომრავლებული მაღალსართულიანი შენობები, რომლებიც გარდა იმისა, რომ ზოგად იერსახეს არ უხდება, ერთმანეთის მიმართ საკმაოდ მჭიდროდ არის განლაგებული. რაც არც უბნების კოლორიტს შეშვენის. ისნის რაიონის გამგეობა, რომელიც ზუსტად იგივე პრობლემებს განიცდის, ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოა, რომელიც განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის მართვას. გამგეობა თავის საქმიანობაში კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ადამიანთა უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით ხელმძღვანელობს, ხოლო ისნის რაიონის გამგებელი, ბატონი **ვახტანგ ქიზიყურაშვილი** ცდილობს პირნათლად შეასრულოს ზემოთხსენებული ვალდებულებები და ყველანაირად გვერდში დაუდგეს თავის თანამოქალაქეებს...

- ბატონო ვახტანგ, 2014 წლის აგვისტოდან ისნის რაიონის გამგებელი ხართ და წარმატებით ხელმძღვანელობთ რაიონს, რა იყო ყველაზე რთული თქვენთვის პირველ ეტაპზე?

- ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც ჩემი გამგებლად დანიშვნის შემდეგ გადავდგი, შტატების დაკომპლექტების პროცესი გახლდათ. კადრების შერჩევა პროფესიონალიზმისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით მოხდა. შესარჩევი კონკურსები ღია და გამჭვირვალე იყო, საბოლოოდ, ძველი და ახალი კადრების შერწყმით, ჩამოყალიბდა გუნდი, რომელმაც იცის რა და როგორ უნდა აკეთოს.

- რომელი პროექტებია თქვენთვის პრიორიტეტული?

– ჩვენთვის პრიორიტეტულია პროექტები, რომლებიც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ამ კუთხით გამგეობამ მრავალი საინტერესო ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი განახორციელა და წარმატებით დაასრულა 2016 წელი - ბიუჯეტი 99,9% შევასრულეთ. არანაკლებ ნაყოფიერად დაიწყო 2017 წელი.

- უფრო კონკრეტულად, რა მიმართულებებია აქტუალური?

- მოგეხსენებათ, ისნის რაიონი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს: ავლაბარს, მეტეხის უბანს, ელიას, ისნის დასახლებას, მეტრომშენს, ვაზისუბანს, მერვე ლეგიონს, ზემო და ქვემო ნავთლუღს. უბნების ნაწილი საკმაოდ მოძველებული ინფრასტრუქტურით და შენობა-ნაგებობებით გამოირჩევა, რომლებიც გასული საუკუნეებით თარიღდება. შესაბამისად, პირველ რიგში მოსაწესრიგებელია საკომუნიკაციო ქსელები, რათა შემდგომში ხარისხიანად შევძლოთ საგზაო საფარის დაგება. აქტუალურია ძველ უბნებში არსებული საცხოვრებელი სახლების დროებითი გამაგრების სამუშაოების განხორციელებაც, ხშირად გვიწევს კერძო საკუთრების რისკების აცილებაში ჩარევა, რათა დაცული იყოს ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება. სამწუხაროდ რაიონში ძალიან დაბალი სოციალური დონეა, დაახლოებით 37 000-მდე სოციალურად დაუცველია, ასე რომ, ზოგადი ფონი საკმაოდ მძიმეა.

- თუმცა, ახალი პროექტების განხორ-

ციელებას მაინც ახერხებთ...

- სიახლეების გარეშე, ქალაქის განვითარება, პრაქტიკულად წარმოუდგენელია. შესაბამისად, ისნის რაიონში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად ხორციელდება - მიმდინარეობს ვაზისუბნისა და მეტრომშენის დასახლების დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა, სადაც ეწყობა სანიაღვრე სისტემა და რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები. ამჟამად დასრულებულია მიწის მოჭრისა და მოხრეშვის სამუშაოები. ხორციელდება მიწისქვეშა კომუნიკაციების ცენტრალურ მაგისტრალთან მიერთება. ხოლო მეორე ეტაპი, პროექტის შესაბამისად, ბორდიურების, ტროტუარების, სანიაღვრე ქსელებისა და გარე-განათების მოწყობას მოიცავს. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს აღნიშნული დასახლებების დაკავშირებას კახეთის გზატკეცილთან და მნიშვნელოვნად განტვირთავს ავტოტრანსპორტის ნაკადს. გარდა ამისა, საინტერესო პროექტს ვაკეთებთ ვაზისუბნის დასახლებაში. დაახლოებით ჰექტარნახევრ ფართობზე გაშენდება დიდი სკვერი, სადაც გათვალისწინებულია მსუბუქი კონსტრუქციებით გაკეთებული მანეჟის ჩადგმა, რომელიც სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს მოემსახურება და 500 კაცზე იქნება გათვლილი.

- ორიოდე სიტყვით სხვა პროექტებზეც გვითხარით...

- ბევრს ვმუშაობთ ძველ უბნებში სპორტული და გასართობი არეალის შესაქმნელად, რაც თანამედროვე სკვერების, ბაღებისა და სპორტული მოედნების მოწყობას გულისხმობს. რაიონის მასშტაბით მარტო 2016 წელს მოვაწყვეთ 10 სკვერი, კაპიტალურად შევაკეთეთ ან თავიდან ავაშენეთ 18 სტადიონი და სპორტული კომპლექსი. კორპუსებში ჩავდგით 36 გასართობი მოედანი და 185 საბაღე სკამი. დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები: ბერი გაბრიელ სალოსის და კახეთის გზატკეცილზე მდებარე კორპუსებში ხდება შიდა ეზოების რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე გზის მოხრეშვის და ბორდიურების მოწყობის სამუშაოები სრულდება, რის შემდეგაც ასფალტის საფარის დაგება დაიწყება. ტროტუარების მოწყობის სამუშაოები გვაქვს თეძამის ქუჩიდან სამების ტაძრის ზედა შესასვლელამდე, გუმბრის №9 მიმდებარედ, სამრევლოს და გუმბრის ქუჩის კვეთაზე. გარდა ამისა, თეძამის ქუჩაზე დასრულების პროცესშია ფერდობის დამჭერი, საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.



- დღესდღეობით რა პრობლემები დგას თქვენი რაიონის მოსახლეობის წინაშე?

- როგორც ცნობილია, წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის ღერძი, როგორც წესი, არის შესაბამისი სოციალური პოლიტიკა, მიმართული ეკონომიკის მთავარი რესურსის — ადამიანის განვითარებისათვის. სწორედ ამ მოსაზრებიდან მართებულად მიმაჩნია ის მიდგომა, რომ ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ დახმარებაზე. დასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების დონე ურთიერთდაკავშირებულია. წარმოების განვითარება ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას, რაც საერთო ეკონომიკური წინსვლისათვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე ჩვენი თანამოქალაქეების მთავარ პრობლემად კვლავაც დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური სირთულეები რჩება. შესაბამისად, ჩვენს წინაშე ნათლად იკვეთება მთავარი მიზანი: გავერკვეთ შექმნილ ვითარებაში და ვეძებოთ გამოსავალი არსებული მძიმე მდგომარეობიდან, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. ვცდილობთ გამგეობის მიერ გაწეული სამუშაო აუცილებლად აისახოს ჩვენს მოქალაქეებზე.

- სამომავლოდ რა მიმართულებებია პრიორიტეტული ?

- ვფიქრობ, შექმნილ სიტუაციაში, ჩვენი მმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგან მცირე ბიზნესის უპირველესი ამოცანა, ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, არის დასაქმების უზრუნველყოფა. უნდა შეიქმნას სათანადო პირობები და გარემო, რომ ქვეყნის მეწარმეებსა და საქმიან ადამიანებს, მოქალაქეებს მიეცეთ მაღალპროდუქტიული შრომისა და საქმიანობის საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება არსებული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. ჩვენ გამგეობას მჭიდრო კონტაქტები აქვს ინვესტორებთან. საინტერესო გეგმაა შემუშავებული პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტირალა მთასთან დაკავშირებით. აქტიურად ვთანამშრომლობთ „განვითარების ფონდთან“, რომელიც ტურისტულად მნიშვნელოვანი ძველი უბნების რესტავრაციაში გვეხმარება. კვლავაც რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად რაიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და მომავალ თაობაზე ზრუნვა, რაც დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოიღებს სასიკეთო შედეგს.

წარმატებული გამგებლის წარმატებული პროექტები

ღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა უამრავი პრობლემისა და რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინაშე დგას, ადგილობრივი ეკონომიკა მაინც განვითარების და სამომავლო პერსპექტივების უწყვეტი ძიების სტადიაშია. ზოგადი აქტივობის რეალურ შედეგებს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დავინახავთ. მიუხედავად არაერთი პრობლემისა და სირთულისა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაახვედრა, ქვეყნის მთავრობამ დასახულ ამოცანებს წარმატებით გაართვა თავი. გადაიხედა სტრატეგიული მიმართულებები, უწყებებში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ სრულად შეიცვალა მიდგომები პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით. გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გახდა ტენდერები და მნიშვნელოვნად გაიზარდა მათში მონაწილე დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი. შემუშავდა ხარისხის სტანდარტები და გაიზარდა მისი კონტროლის მექანიზმები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეგიონებში შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია. ხელისუფლებამ უარი თქვა უკანასკნელ წლებში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე და აქცენტი გააკეთა ძლიერი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას საბაზისო ინფრასტრუქტურის გასავითარებლად და საზოგადოებრივი მომსახურებების გასაუმჯობესებლად სრულად გაეხსნა ხელ-ფეხი. გაცილებით ადვილი გახდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების სრულყოფა. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიმართულებებია დღეს მნიშვნელოვანი და დომინანტური თიანეთის მინიციპალიტეტში, რომლის გამგებელს, ქალბატონ **ლელა ქიტესაშვილს** საქმეები არასდროს ელევა...

- ქალბატონო ლელა, რა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეთ გასულ წელს?

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №295 განკარგულებით, თიანეთის მუნიციპალიტეტს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2 134 357 ლარი გამოეყო და ამ სახსრებით რამოდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ. ავაშენეთ დაბა თიანეთის სოფელ თეთრახევასთან და სოფ. თრანის სოფ. მაგრანეთთან დამაკავშირებელი ხიდები. ხევსურთსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მოვაწყეთ წყალმომარაგების ახალი სისტემა,რამაც მეტწილად გადაჭრა სოფ. დევენაანთხევის, ხევსურთსოფლისა და საყდრიონის მრავალწლიანი უწყლობის პრობლემა. დაბა სიონსა და სოფელ ნადოკრაში ავაშენეთ ახალი საბავშვო ბაღები, ხოლო ახალსოფლის, ჩაბანოსა და ნაქალაქარის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს სრული რეაბილიტაცია ჩავუტარეთ. დაბა თიანეთში მოვაწყეთ ასენიზაციის სისტემა,რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, 5000-მდე ბენეფიციარს მოუგვარდება ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არქონისგან გამოწვეული პრობლემა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს შევიძინეთ გრუნტის ვი-



ბროსატკეპნი და უკვე ადგილობრივი ძალებით ვცდილობთ სოფლებთან დამაკავშირებელი და შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებას. გზების რეაბილიტაცია განვახორციელეთ სოფ. ღულელები-მაგრანეთის, სოფ. ჭურჭელაურები-არტანილაშარის, სოფ.ლელოვანი, ჟებოტა ჭიაურა, გოჯიაანები-კვერნაულას მიმართულებით. სოფ. ცალუღელაანთკარში გაიწმინდა სტიქიისაგან დაზიანებული ხევი, ხოლო დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.საჯინიბოსა და სოფ. ყუდროში სტიქიისგან დაზიანებული გზები აღდგა.

- როგორც ვხედავთ, სიახლეებია თავად დაბა თიანეთშიც...

- დიახ, სიახლეები ნამდვილად არის. დ.თიანეთის 4 ქუჩა თანამედროვე ტიპის ნათურებით განათდა. დამატებით, ადგილობრივი ბიუჯეტით განვახორციელეთ ,,თიანეთის" სახელდების ნაგებობის და სკვერის განახლება. მოხდა რამდენიმე სანიაღვრე არხის მოწყობა და ნაყარი გრუნტის მოსწორება. დასრულდა მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის, გამგეობის ადმინისტრაციული შენობის, სამუსიკო სკოლისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. გარდა ამისა, "მუნიციპალური განვითარების ფონდის" დაფინანსებით მიმდინარეობს სოფელ ჟებოტის - ამაღლების კომპლექსთან და არჩილის მონასტერთან მისასვლელი გზების ექსპლუატაციაში შესვლის სამუშაოები, ხოლო საქართველოს მელიორაცია ახორციელებს ერწოში „აძეძის" არხის გაწმენდის სამუშაოებს. სასიხარულოა, რომ ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა სარწყავი სისტემის მოწყობა. შედეგად, ერწოს მოსახლეობას მრავალი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა გაუჩნდება, ხოლო ახალსოფლის, გოჯიაანების, დულუზაურებისა და ჩაბანოს მოსახლეობას 300 ჰა ფართობი ექნება სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი. აუცილებლად უნდა დავამატო, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ყველა სოფელში განვახორციელეთ სხვადასხვა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმს. დასრულდა საქართველოს ფოსტის თიანეთის ფილიალის მშენებლობა, ხოლო უახლოეს მომავალში დაბა თიანეთში ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი გაიხსნება.

- დასაქმებისა და ზოგადად, სოციალური პროგრამების მხრივ რა მდგომარეობაა?

- როგორც ყველა მაღალმთიან რაიონში, ჩვენთანაც უმთავრეს პრობლემას სწორედ დასაქმება წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს, რადგან, სახელმწიფო დაწესებულებების გარდა, სადაც მოსახლეობის მცირე ნაწილია დასაქმებული, არ გაგვაჩნია ფაბრიკა-ქარხნები ან საწარმოები, რომლებშიც ადამიანები დაკავდებიან. სწორედ ამიტომ, ვმუშაობთ იმაზე, რომ ინვესტორები მოვიზიდოთ და თავისუფალი ბიზნესგარემო შევქმნათ. პარალელურად, ვცდილობთ, ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ და გავამრავალფეროვნოთ მუნიციპალური სოციალური პროგრამები. გასულ წელს სოციალური დახმარების მიმღებთა კატეგორიას „C" ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეები დავამატეთ, რომელთაც სახელმწიფო მკურნალობის პროგრამაში ჩართვის საჭირო გამოკვლევებს მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს. გარდა ამისა, მოქმედებს მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურება, 400 ლარამდე გაეზარდა დახმარება ჰემოდიალიზით მოსარგებლე პაციენტებს . გათვალისწინებულია დედმამით ობოლი ბავშვების, დაუნის სინდრომით, აუტიზმით დაავადებულთა, შშმ ბავშვების, ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 100 და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ფინანსური დახმარება გაიცემა ასევე სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების დასაფარად.

- როგორც ვიცით, გასულ წელს, ამ მიმართულებითაც გქონდათ სიახლეები...

- 2016 წელს, ფინანსური დახმარების მიმღებთა კატეგორიას დაემატა სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომლებმაც საჯარო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრეს. ასევე გავითვალისწინეთ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელთაც წარჩინებით დაამთავრეს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატი. საერთო ჯამში, მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას გასულ წელს ბიუჯეტიდან 193 100 ლარი მოხმარდა. 2016 წელს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარებები 136 500 ლარს შეადგენს და აღნიშნული თანხით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 455 განმცხადებელს გაეწია, ხოლო 170 მოქალაქეს სამედიცინო მომსახურების ხარჯი აუნაზღაურდა.

ამასთან ერთად, თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს მგზავრთა გადაყვანის ხელშეწყობის სოციალური პროგრამა – შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი, ხოლო დაბა თიანეთში ფუნქციონირებს უფასო სასადილო-,,მადლი", რომელიც 2016 წლამდე 40, ხოლო 2017 წლიდან 46 მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარს ემსახურება.

- კულტურისა და სპორტის მხრივ რა ცვლილებებია?

- ჯერ კიდევ 2013 წელს დავიწყეთ და დღეისათვის სრულად განვაახლეთ დაბა თიანეთის კულტურისა და დასვენების პარკი. ავაგეთ 300 ადგილიანი საკონცერტო დარბაზი. ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ ზაფხული სულ უფრო და უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს თიანელებისა და ჩამოსული დამსვენებლებისთვის. კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს კინო-კლუბი, სადაც მსურველებს შესაძლებლობა აქვთ უფასოდ ან მინიმალურ ფასად იხილონ ფილმები დიდ ეკრანზე. დაარსდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მზეკარი", რომელსაც ახალგაზრდა მიგრანტი, ოთო ლევერაშვილი ჩაუდგა სათავეში. კულტურის სახლში ჩამოყალიბდა ბიჭუნათა ვოკალური და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების წრე, სახვითი ხელოვნების, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფები. წლის განმავლობაში ღონისძიებებით დატვირთულია თიანეთის კულტურის სახლი, იმართება შეხვედრები, გამოფენები, საზეიმო კონცერტები, ლიტერატურულ -მუსიკალური საღამოები, მოსწავლეთა და პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენები. გარდა ადგილობრივი ღონისძიებებისა, შემოქმედებითი და სახელოვნებო ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მასშტაბით თუ ქვეყნის გარეთ გამართულ ფესტივალებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სპორტის პოპულარიზაციას. გასულ წელს კულტურისა და დასვენების პარკის მიმდებარედ მოვაწყეთ ღია სავარჯიშო სპორტული მოწყობილობები. აშენდა 500 ადგილიანი საჭიდაო არენა. ჩამოყალიბდა სარაგბო კლუბი, ფუნქციონირებს სპორტული კლუბი „თიანეთი", ტრადიციულად იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა თუ ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. ასევე აღსანიშნავია თიანელი ახალგაზრდების მიერ

მიღწეული სპორტული წარმატებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

- მუნიციპალიტეტში ყოველწლიური სახალხო დღესასწაული იმართება, ამასთან დაკავშირებით რა სიახლეებია....

- შარშანდელი სახალხო ზეიმი „თიანეთობა" მართლაც გამორჩეული გახლდათ. სტუმრებს მიეცათ საშუალება დაეგემოვნებინათ თიანეთის, როგორც „მწვანე" სტატუსის მქონე პირველი მუნიციპალიტეტის ნატურალური პროდუქტები, ხოლო დღესასწაულის ფარგლებში „თიანეთის საპატიო მოქალაქის" სტატუსი მივანიჭეთ ექიმ ბიჭი ცალუღელაშვილსა და მწერალსა და პოეტ ბესიკ ხარანაულს.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით...

- სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც ვფიქრობ, დიდ ზეგავლენას მოახდენს თიანეთის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მაქსიმალურად ვეცდებით, დაწყებული სამუშაოები დავასრულოთ და კვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მივხედოთ. გაგრძელდება სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა. 2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი-

სა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ერთობლივი დაფინანსებით დაგეგმილი გვაქვს სოფლების: ჩაბანოს, ახალსოფელი-გოჯიანების, მაგრანეთის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და სოფელ ზურაბების, დორეულების და ვეძათხევას წყლის სისტემის რეაბილიტაცია. განხორციელდება ბალებისხევისა და სიონთგორის არტეზიული ჭისა და შესაბამისი წყალსადენის ქსელის მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბა თიანეთის №1, სოფ. საყდრიონისა და სოფ.ზემო არტანის საბავშო ბაღებს, დაბა თიანეთის კულტურის სახლს და სპორტული კლუბის შენობას. სოფელ ტუშურებში დასრულდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, ხოლო სოფლებში – ხევსურთსოფელი, დევენაანთხევი, ღულელები, კახოანები, ტუშურები, საკრეჭიო, ზარიძეები მოენყობა თანამედროვე ტიპის გარე განათება. ვფიქრობ, მოსახლეობისათვის სასიკეთო ამდენი პროექტი მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში არ გაკეთებულა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებისა და ხალხის ერთად დგომით, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

ART-CERAMIC

კერამოგრანიტი უკვე ბათუმშია!

უკრაინული წარმოების კერამიკის ფირფიტები კედლებისა და იატაკისათვის!

ფერისა და დეკორის მდიდარი არჩევანი მოჭიქული, პრიალა იატაკი და მოზაიკა

ჩვენ მაღაზიაში სადარბაზოების, სამზარეულოს, სააბაზანოსა და სხვა ნაგებობების სველი წერტილების მოსაპირკეთებელ ფირფიტებს აღმოაჩენთ, რომელთა დახმარებით, თქვენი იატაკი ხის მასალის ფაქტურას შეიძენს და წლების მანძილზე არ გაცვდება!

აჩუქეთ საკუთარ სახლს სილამაზე და მარადიულობა!

Pushkin 74 str.
6010 Batumi
GEORGIA
+ 995 555 60 22 89
art.ceramicsalon@gmail.com



ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა

როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში, რეგიონების განვითარების პრობლემა, ზოგადად, ქვეყნის განვითარების პრობლემას წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში, წლების მანძილზე არსებულმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა ჩავარდნებმა და შესაბამისი პოლიტიკური ნების არქონამ რეგიონების მიმართ ცენტრალური ორგანოების ყურადღება მოადუნა, რამაც მოგვიანებით ერთბაშად იჩინა თავი – წამყვანი დარგების განვითარება ჩიხში მოექცა და რაიონული ცენტრების ინფრასტრუქტურა მთლიანად მოიშალა. ასეთი მძიმე მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მომავალს, რადგან საქართველოს ძირითადი რესურსების გამოყენება დანაშაულებრივად იყო უგულვებელყოფილი. ძალზე ცუდად და მძიმე შედეგების მომტანი ფორმით ექსპლოატაცია ეწეოდათ ჩვენს მოქალაქეების უმნიშვნელოვანეს თვისებებს და ხდებოდა ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის სრული დეგრადაცია. დღევანდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ მისი ყურადღების არეალი, როგორც რამდენიმე წლის წინ ხდებოდა, მხოლოდ რამოდენიმე ქალაქის პრობლემატიკით არ უნდა შემოიფარგლოს. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოება რეგიონების განვითარების კუთხით განეულ მუშაობას დადებითად აფასებს. განსაკუთრებით გამოსარჩევი და მისასალმებელია პროექტები, რომელთაც რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის სამუშაო ადგილები მოაქვთ და დიდ მოლოდინებს აჩენს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების მხრივ, რაც საბოლოოდ, რეგიონებიდან გასულ მოსახლეობას მშობლიურ ადგილებში დააბრუნებს. დუშეთის რაიონში სრულად მიესალმებიან ყველა პროცესს, რომელიც ამ კუთხით მიმდინარეობს - ქალაქის იერ-სახის აღდგენას, გზების და ელექტრომომარაგების რეაბილიტაციას, სრულ გაზიფიცირებას თუ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს. რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **ვაჟა ჩოხელს** მიაჩნია, რომ რეგიონები სწორედ ეკონომიკის აღმავლობის ხარჯზე უნდა განვითარდეს...

- ბატონო ვაჟა, თავდაპირველად ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე უნდა გკითხოთ...

- დუშეთის რაიონში ინფრასტრუქტურის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს, ეს მიმართულება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია და სიახლეების ნაკლებობასაც არ განვიცდით - მუნიციპალიტეტში მოეწყო 4 სკვერი, 7 საფეხბურთო მოედანი და თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელი. სოფელ ჭოპორტში გაიხსნა ინოვაციების ცენტრი. დასრულდა ზანდუკის, ჩანადირები-საკრამულის, საშაბუროს და წიწამურას ხიდების რეაბილიტაცია, მოეწყო ნაპირსამაგრი გაბიონები. გზების მოხრეშა-განახლება განხორციელდა სოფელ დავათსა და ნოკორნაში, შუახევსა და ქაისხევში, ჭოპორტში, ჟინვალი-უნდილაანთ-ეთვალისის მონაკვეთზე და წიწამურას მისასვლელთან. დაბა ფასანაურში კეთილმოეწყო არაგვის სანაპირო, ხოლო მჭადიჯვარში გაიმართა ნაპირსამაგრი გაბიონები. პარალელურად მოეწყო უნდილაანთკარსა და საშაბუროს გარე განათება, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 13 ფილიალს და 4 თავიდან აშენდა. რაც შეეხება ქალაქ დუშეთს, აქ სარეაბილიტაციო სამუშაოები 21 ქუჩას ჩაუტარდა, გაიწმინდა გზები, დაიგო ასფალტის

საფარი, გაკეთდა სანიაღვრე არხები და სავალი ნაწილები, მოეწყო გარე განათება. გარდა ამისა, 2016 წელს დაიწყო კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც უმოკლეს ხანში დასრულდება. მთლიანობაში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნა 69 565,7 მ სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, მათ შორის ასფალტო-ბეტონის საფარით დაიფარა 20 795,7 მ გზის მონაკვეთი და აშენდა 51 ხიდი, მოეწყო ახალი წყალმომარაგების სისტემა 134 სოფელში და უშუქო სოფლების ელექტროფიცირების პროექტის ფარგლებში 7 სოფელს -კანალხევი, ნოჯა, კოშკასყელი, ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისნაყლი, მუცო -ელექტროენერგია მიეწოდა.

- სოფლის განვითარების პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებზეც გვითხარით...

- მინდა აღვნიშნო, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით არის დაგეგმილი. გაზიარებულია ხალხის სურვილები და მოთხოვნები. რაც შეეხება პრიორიტეტებს, უპირატესობა აქაც ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ პროექტებს ენიჭება. დამატებით, ვითარდება კოოპერატივები, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ მესაქონლეობის განვითარების კონცეფციის ფარგლებში ვიწყებთ ახალ საპილოტე პროექტს უკანაფშავში, რომელთან დაკავშირებითაც მოსახლეობასთან ინტენსიურ შეხვედრებს ვგეგმავთ.

- ზოგადად, წარმოების განვითარების ტემპები როგორია?

- დუშეთის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - „აწარმოე საქართველოში“ , სხვადასხვა მიმართულების პროექტები დაფინანსდა, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ისახავდა მიზნად. ამ პროგრამის სამ ეტაპიანი არსებობის მანძილზე სულ თანხა 112 პროექტს და 189 ბენეფიციარს გამოეყო, ხოლო „მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის“ - პროგრამის მიხედვით ხელშეკრულება 31 პროექტის ავტორს (55 ბენეფიციარი) გაუფორმდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში გახსნილია თაფლის, ხილის და რძის გადამამუშავებელი საწარმოები, ხალხური რეწვის მცირე სახელოსნოები, საოჯახო ტიპის სასტუმროები, ბოსტნეულის სათბურები და უამრავი მსგავსი ტიპის მიკროსაწარმო.

- რა შედეგი გამოიღო „მთის კანონის“ ამოქმედებამ?

- მოგეხსენებათ, მთის მდგრად განვითარებაზე უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ. ეს უკუქცევადი პროცესია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება და მიმართული იქნება მთაში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, გარემოს დასაცავად და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. თუ ევროპულ ქვეყნებში მთიანი რეგიონების გლობალურ განვითარებაზე საუბრობენ, ჩვენ მსჯელობა მათ გადარჩენაზე გვიხდება. 2016 წლის 1 იანვრიდან „საქართველოში მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის ამოქმედებამ, რა თქმა უნდა, უდიდესი შედეგი გამოიღო: სოციალურ-ეკონომიკური პროექტების სტიმულირებისათვის განისაზღვრა შეღავათები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა კეთილდღეობას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. დუშეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი 245-მა სოფელმა და ორმა დაბამ - ჟინვალმა და ფასანაურმა მიიღო, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მაცხოვრებელი პირის სტატუსი უკვე დაახლოებით 6900 მოქალაქეს მიენიჭა. ჩვენთან, დამატებით ხორციელდება სოციალური დახმარების პროგრამებიც - გასულ წელს სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისათვის მკურნალობისა და ოპერაციების თანხები დაუფინანსდა 748 მოქალაქეს, 393 სოციალურად დაუცველი ბენეფი-

ციარის უზრუნველყოფა მოხდა მედიკამენტებით, ხოლო ერთჯერადი დახმარება 1224 მოქალაქეს გაეწია. გარდა ამისა, მოქმედებს უფასო მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების პროგრამა გუდამაყარსა და უკანაფშავში, ხოლო დუშელი სტუდენტებისათვის უფასო გადაადგილება

თბილისამდე მუნიციპალიტეტის დახმარებით ხდება. ქალაქ დუშეთში ავამუშავეთ უფასო სასადილო, რომლითაც 110 ბენეფიციარი სარგებლობს.

- რა ღონისძიებებს მიმართავთ ტურიზმის გასავითარებლად და დამთვალიერებლების მოსაზიდად?

- საიდუმლო არ გახლავთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ ტურიზმის განვითარება და საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს, რადგან ამ სექტორის ეფექტურად გამოყენების საკმაოდ დიდი პოტენციალი გაგვაჩნია. ტურისტული მიმართულებების სწორი დაგეგმვა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მთის მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამიტომ რეკრეაციული და დაცული ტერიტორიების გათვალისწინებით, სუფთა ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებისა და ტურისტული მარშუტების დახვეწის გზით შესაძლოა ტურიზმის ისეთი მიმართულების განვითარება, როგორებიცაა: ეთნოტურიზმი, პილიგრიმული, სათავგადასავლო თუ ეკო-ტურიზმი. ხევსურეთის სოფელ როშკაში მიმდინარეობს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრისა და საზოგადოებრივი სახლის მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოები. ა(ა)იპ დუშეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ უკვე შედგენილია და გავლილია ტურისტული მარშრუტები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა

მიმართულებით. ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „აღმოაჩინე საქართველო შენს სოფელში“, რომლის ფარგლებშიც მოინახულეს ხადასა და ხანდოს ხეობები, ხევსურეთის მწვერვალები. იგეგმება თანამშრომლობა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციასთან, მთის ალპურ კლუბთან და მცხეთა-მთიანეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრთან, რეგიონში, ერთობლივი მარშრუტების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებზე. პარალელურად, ჩამოყალიბების პროცესშია მჭიდრო თანამშრომლობა ქართულ-ნორვეგიულ და ქართულ-არაბულ ტურისტულ კომპანიებთან.

- ტურისტულ კერად გადაქცევის პოტენციალი აქვს თვითონ ქალაქ დუშეთს...

- ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებითაც იდგმება - ვგეგგმავთ არსებული ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას და მათ მაქსიმალურ დატვირთვას. ვაპირებთ ბიბლიოთეკის, ახალგაზრდული ცენტრის განვითარებასა და ქალაქის ახალგაზრდებისათვის მიმზიდველ საცხოვრებელ







და სამუშაო გარემოდ გარდაქმნას. ეს ყველაფერი ეკოლოგიური სტანდარტების გათვალისწინებით, ტურისტული და ქალაქური ცხოვრებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის - კაფეების, მაღაზიების, თემატური ბაზრობების და სახალხო დღესასწაულების - შექმნის ხარჯზე უნდა მოხდეს. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ამა წლის მარტიდან იწყება ქალაქის ძველი უბნების რეაბილიტაცია, მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით რესტავრაცია ჩაუტარდება ძველ უბნებს, შენარჩუნდება და აღდგება ისტორიული იერსახე. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ქალაქის ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს ბულ-

ვარს, მასში განთავსებულ შენობა-ნაგებობებს და მიმდებარე ქუჩებს. ასევე პირველ ეტაპს მიეკუთვნება ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგების საკითხი, რომლის მოსამზადებელ და საპროექტო სამუშაოებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. როგორც ცნობილია, ქალაქი დუშეთი 2015 წლიდან ისტორიული მემკვიდრეობის ქალაქების ასოციაციის (OWHC) წევრია და ასევე ჩართულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივ პროექტში „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები“ (COMUS), რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ასოციაციის პარტნიორობით ითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპის თითოეულ ქვეყანაში პილოტური სადემონსტრაციო ქალაქის შერჩევას, სადაც ევროპის საბჭოს მიერ შემოთავაზებული ახალი მეთოდოლოგიებით და მიდგომებით ვგეგმავთ კულტურული მემკვიდრეობის ეფექტურ გამოყენებას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

– კულტურისა და სპორტის სფეროებში როგორი ვითარებაა?

- ჩვენ რა თქმა უნდა, ხელს ვუწყობთ მუნიციპალიტეტში მდიდარი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას. ქალაქ დუშეთში ფუნქციონირებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, უმძიმეს მდგომარეობაშია, ასევე ვაჟა-ფშაველასა და ერისთავების სახლ-მუზეუმები. ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები აფართოებენ

და ავითარებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებას. ყოველ წელს ეწყობა სახალხო დღესასწაულები „ვაჟაობა“ და „შატილობა“. მინდა აღვნიშნო, რომ ნიჩბოსნობაში გამართულ რუმინეთის, ბელორუსის, ლიტვის საერთაშორისო ტურნირებზე, ღირსეულად იასპარეზეს დუშელმა ნიჩბოსნებმა. მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდმა ნიჩბოსნობაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს თასის პირველობაზე და აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასის პირველობაზე. ამ წარმატებებიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, შევქმნათ თანაბარი პირობები რეგიონში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული განვითარებისათვის. წავახალისოთ ისინი, მივცეთ სტიმული და ხელი შევუწყოთ, რათა ადვილად გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, შესაძლებლობები, შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ და მეტად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



ბოლო წლების განმავლობაში უძრავი ქონების დეველოპმენტი საქართველოში საკმაოდ სწრაფად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ძალზე არასასურველი მიმართულებით ვითარდება. დაუმთავრებელი მშენებლობა, შეუსრულებელი დაპირებები, ქალაქის დამახინჯებული იერსახე — აი რა ასოციაციას იწვევს ზოგიერთი დეველოპერის სახელი ჩვენს საზოგადოებაში. დღეს ჩვენს თანამოქალაქეებს, ისე როგორც ქართულ სახელმწიფოს, ჰაერივით სჭირდება ახალი, კომფორტული ბინები, ლამაზი სავაჭრო ცენტრები, თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობები და ეს ყველაფერი უძრავი ქონების დეველოპერებმა უნდა უზრუნველყონ. სამშენებლო დეველოპერული კომპანიის „კაპიტალ დეველოპმენტი“ -ს გენერალური დირექტორი ბატონი **დავით ლობჟანიძე** და მისი პარტნიორები გაერთიანდნენ, რათა ქართულ ბაზარზე უძრავი ქონების სრულიად ახალი სტანდარტი დაამკვიდრონ.

პროფესიონალები ქმნიან წარმატებულ პროექტებს

- ბატონო დავით, მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ...

- ჩვენი გუნდის გამოცდილება სამშენებლო მასალების წარმოების ბიზნესში რამოდენიმე ათეულ წელს ითვლის, ხოლო უშუალოდ სამშენებლო დეველოპერულ ბიზნესში 2012 წლიდან ჩავერთეთ. ჩვენი მიმართულება არის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, როგორც დეველოპერული, ასევე სამშენებლო მიმართულებით.

- რატომ უნდა აგირჩიოთ მომხმარებელმა?

- ჩვენი გუნდი ოპერირებულია პირველ რიგში მშენებლობის ხარისხზე. ჩვენი მისიაა „კაპიტალ დეველოპმენტი“ გახდეს ცხოვრების უკეთესი ხარისხის შემქმნელი საქართველოში. ჩვენ მივისწრაფვით, რომ კომპანია ასოცირდებოდეს ადამიანებისათვის კომფორტულ და თანამედროვე ცხოვრების წესთან. ჩვენი ხედვაა, რომ ჩვენი გუნდი დამკვიდრდეს ისეთ დეველოპერულ კომპანიად, რომელიც საქართველოში ნერგავს ხარისხიანი, კომფორტული ცხოვრების სტანდარტს და ხელმისაწვდომს ხდის მას. ჩვენ ვქმნით ხარისხიანი და კომფორტული ცხოვრების ახალ სტანდარტებს. ვეძებთ ისეთ ნოვატორულ მიდგომებს, რომლებიც ახალ სიმაღლეზე აიყვანს საცხოვრებელი ფართის, როგორც ოპტიმალური დაგეგმვის, ისე მშენებლობის პროცესს. შემოქმედებითი მიდგომებით მუდმივად ვავითარებთ ახალ იდეებს. ინოვაციების დანერგვა შესაძლებლობას გვაძლევს ყოველთვის დავიცვათ მშენებლობის ვადები და განსაკუთრებულად ვიზრუნოთ ხარისხზე. მშენებლობისას ვიყენებთ ისეთ ნოვატორულ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი შენობების მდგრადობასა და ენერგოეფექტურობას. ინოვაციური მიდგომებით ვგეგმავთ გარემოს ისე, რომ თითოეული კვადრატული მეტრი ეფექტურად იყოს განაწილებული და მაქსიმალურად მორგებული მომხმარებლის საჭიროებებსა და სურვილებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მშენებლობის მთლიანი საწარმოო ჯაჭვის რამდენიმე ძირეული რგოლის წარმოებას თავად ვახორციელებთ.

- რას გულისხმობთ?

- ვაწარმოებთ სამშენებლო მასალებს, ბლოკს, ცემენტს და ბეტონს. ეს იმას ნიშნავს, რომ მშენებლობისათვის საჭირო პროდუქციის თითქმის 80%-ს ჩვენ თავად ვქმნით, რაც თავისთავად ამცირებს ყველანაირ რისკებს. ხაზგასმით მინ-

და ვთქვა, რომ ხარისხის კონტროლი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ჩვენ არ ვემხრობით ქაოტურ და უინფრასტრუქტურო მშენებლობას. მნიშვნელოვანია არსებობდეს მშენებლობის კონტროლი, რათა მოხდეს ხარისხიანი და უხარისხო მშენებლობების გარჩევა.

- რას გვეტყვით განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე?

- ჩვენ რამოდენიმე პროექტი განვახორციელეთ საბურთალოზე, კერძოდ ნუცუბიძის ახალ გზაზე, ნუცუბიძის მეორე პლატოზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს

საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ბარნოვის 77/79 ნომერში, რომელიც იქნება ერთ-ერთი საუკეთესო პრემიუმ კლასის პროექტი. პროექტირების ფაზაშია სახლი სანზონაში, რომელიც საკმაოდ მიმზიდველი პროექტი იქნება, როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე მდებარეობით.

ოფისის მისამართი ვაჟა-ფშაველას 78ა;
საკონტაქტო ნომერი: 599 003 004;

ჩვენთან მკურნალობის ყველა საკითხი მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომით წყდება

„მიმართე პლაზმაფერეზის ეროვნულ ცენტრს - გაიხანგრძლივე ახალგაზრდობა, შეაჩერე სიბერე!"- სწორედ ასე ჟღერს კლინიკა „პლაზმამედის" დევიზი, რომელიც თანამიმდევრულად და წარმატებულად ცდილობს საქართველოში დანერგოს თანამედროვე მედიცინაში ყოვლად განსხვავებული და უნიკალური მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფრიად ეფექტური მეთოდი. აღსანიშნავია, რომ პლაზმაფერეზის პროცედურების მეშვეობით, დაავადებულთა უმრავლესობა იკურნება ან გადადის ხანგრძლივი რემისიის ფაზაში, ხოლო თავად სამკურნალო პლაზმაფერეზი 100-ზე მეტი დაავადების თუ პათოლოგიის დროს გამოიყენება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ პროცედურის უკუჩვენებას, რაოდენობას, სიხშირესა და მეთოდს ექიმი-ტრანსფუზიოლოგი პაციენტის მონაცემების მიხედვით, სრულიად უფასო კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს. პაციენტზე ზრუნვის პროცესში ჩართულია ცენტრის ყველა დარგის წამყვანი სპეციალისტი: თერაპევტი, გერიატრი, ნევროლოგი, ქირურგი, კარდიოლოგი, რევმატოლოგი, ნეფროლოგი, უროლოგი, პულმონოლოგი, ფტიზიატრი, ოტორინოლარინგოლოგი, ქირურგი, მამოლოგი, გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი, სექსოლოგი, პედიატრი, ლოგოპედი, ფიზიოთერაპევტი, ფსიქოლოგი, დერმატო - ვენეროლოგი, დერმატო - კოსმეტოლოგი, კოსმეტოლოგი, მამოლოგი და ენდოკრინოლოგი, რომელთა მეშვეობით ტარდება მრავალი კლინიკო - ლაბორატორიული და აპარატული გამოკვლევები. ამ და სხვა სიახლეების გასაცნობად, ჩვენ „პლაზმამედის" ხელმძღვანელს, ქალბატონ **დინარა რამიშვილს** გავესაუბრეთ...

- ქალბატონო დინარა, მოგვიყევით თქვენი კლინიკის შესახებ ....

-საქართველოს სამკურნალო პლაზმაფერეზის ეროვნული ცენტრი „პლაზმამედი" მრავალპროფილური კლინიკაა. მისი ძირითადი მიმართულება პროფილაქტიკური მედიცინა გახლავთ, რომელიც ფართოდ გამოიყენება მრავალი დაავადების პრევენციისთვის. ცენტრის ძირითად ამოცანას პლაზმაფერეზით 100-ზე მეტი დაავადების მკურნალობა წარმოადგენს. მათ შორისაა - აუტოიმუნური დაავადებები, ჰიპერქოლესტერინემია, შაქრიანი დიაბეტი, ალერგიული დაავადებები, ბრონქული ასთმა, სხვადასხვა სახის დერმატიტები, ფსო-

რიაზი, უშვილობა, ორსულთა პათოლოგიები და მრავალი სხვა. გარდა ამისა, კლინიკაში ფუნქციონირებს ფიზიოთერაპიული განყოფილება, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მასაჟები და პროფილაქტიკური სამკურნალო-სამედიცინო კოსმეტოლოგია.

- რით გამოირჩევით სხვა სამკურნალო დაწესებულებებისაგან?

- „პლაზმამედი“ მრავალი ინოვაციური ტექნოლოგიების კერაა. ჩვენთან განუწყვეტლივ ინერგება სიახლეები, რო-

მელთაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, როგორც აწყმოში, ისე სამომავლოდ, პრევენციული თვალსაზრისით. გარდა ამისა, პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანს მყისიერად სჭირდება შედეგი, რათა გაუჩნდეს სამომავლო მოტივაცია და მაქსიმალურად იზრუნოს, როგორც შედეგის შესანარჩუნებლად, ასევე მისი გაუმჯობესებისთვის. ყველა ადამიანი სიბერეს ჯანმრთელი და ლამაზი უნდა შეხვდეს. პრევენციული მედიცინა სწორედ ამიტომაა ეფექტური ფსიქოლოგიურად და ეკონომიკურადაც.

- დღეისათვის, რამდენად აქტუალურია პროფილაქტიკური მკურნალობა?

- ჩემი ოცნებაა, კლინიკაში შემოვიდეს ადამიანი და მითხრას: „ექიმო, არაფერი არ მაწუხებს, ჩამიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევები“. ვისურვებდი, ეს ახალგაზრდა ასაკშივე ხდებოდეს, სანამ დაავადებებს თავი არ უჩენია. სამწუხაროდ, 35-40 წლის ასაკიდან იწყება დაავადებათა „დაგროვება” და შუახნის ადამიანს უკვე 3-4-5 სხვადასხვა ქრონიკული დაავადება აქვს, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა დროული პროფილაქტიკით. სწორედ ამიტომ, ჩვენს ცენტრში ბევრი ღონისძიებაა დანერგილი, მათ შორის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პლაზმაფერეზის პროცედურები და თმის ღერის ანალიზი, რომელიც ექსკლუზიური უფლებით საზღვარგარეთ ტარდება. განსაკუთრებით მინდა გავამახვილო ყურადღება ამ ანალიზის დიდ მნიშვნელობაზე, რამეთუ, მსოფლიოს გამოჩენილი ვარსკვლავები, უმეტესად სპორტსმენები, სწორედ ამ მეთოდით ხელმძღვანელობენ, რათა კარგ შედეგებს მიაღწიონ და შედეგი თუ სილამაზე შეინარჩუნონ. ჩვენს სპორტის მესვეურებს მოვუწოდებ, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ ზემოხსენებული ანალიზის მიმართ, რადგან ეს კვლევა მ,ართლაც ფასდაუდებელია სპორტსმენთა კარგი ფიზიკური მომზადებისთვის.

- როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ კოსმეტოლოგიას...

- კლინიკაში მართლაც დანერგილია სამედიცინო-სამკურნალო კოსმეტოლოგია ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის (15-20) (20-35) (35-50) (50-80), მათი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს მიდგომა, როგორც გამოკვლევების, ასევე მკურნალობის მიხედვით, სრულიად ახალი და განსხვავებულია. თანამედროვე ინექციურ კოსმეტოლოგიასთან ერთად, რომელიც მეზოთერაპიას, ბიორევიტალიზაციას, ბოტოქსს აერთიანებს, ასევე ფართოდ გამოიყენება აპარატული მეთოდის სხვადასხვა ხაზები, სახის კანის მოვლის ლაზერული და ფიზიოპროცედურები, მოდელირების მეთოდოლოგია არაინექციური ფილერებით სახის კანისთვის და ტუჩებისთვის, ნაოჭების შევსება და ტუჩების კორექცია. შეგახსენებთ, რომ არაინექციური პროგრამის უპირატესობაა სწრაფი შედეგი და მათი პროლონგირებული მოქმედება, პაციენტის სოციუმისგან მოუწყვეტად მკურნალობა. პარალელურად შესაძლებელია ინექციური პროგრამაში ჩართვა და ესთეტიკური პრობლემის გადაწყვეტა. გარდა ამისა, უსისხლო, უსაფრთხო, უმტკივნეულო მეთოდია და კანის მთლიანობა არ ირღვევა.

- „პლაზმამედიში“ კიდევ ერთი სიახლეა...

- როგორც მოგახსენეთ, ჩვენთან მკურნალობის ყველა საკითხი მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომით წყდება და თითეული პაციენტი ზედმიწევნით მნიშვნელოვანია კლინიკისთვის. სწორედ ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „პლაზმამედიში“ შექმნილი „საერთაშორისო ხანდაზმულთა კლუბი“, რომელიც თავისი უნიკალური პროგრამით საქართველოში პირველია. კლუბი საერთაშორისოა და ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებს. მისი მიზანია ხანდაზმულებს და არა მარტო მათ, დაეხმაროს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ ასპექტებში. გათვალისწინებულია დაბერების პროცესების შეჩერება და აქედან გამოწვეული დაავადებების განვითარების პრევენცია. მათთვის განკუთვნილია კომფორტულად აღჭურვილი ფართი, ლაბორატორიით, მრავალმხრივი საპროცედურო კაბინეტები ფიზიოთერაპიული განყოფილებით, კოსმეტოლოგიური კაბინეტით, საზეიმო დარბაზი, კაფე სასტუმრო და დასასვენებელი კურორტული ზონები - ბორჯომი, „თეთრი ტბა“ , სადაც შეუძლიათ მიიღონ სტუმრები, მეგობრები, არ იგრძნონ სიმარტოვე და მათი სიცოცხლე გახდეს შინაარსიანი.

OEZ

KOPOS ELECTRO LTD

www. kopos.ge

Tbilisi. 13 Kiziki Str. Office: +995 322 36 81 91

E-mail: info@kopos.ge

Minia

Modeion

Arion

Conteo

OEZ

GOLDEN CERTIFICATE
OF OFFICIAL DISTRIBUTOR

OEZ s.r.o. AUTHORIZES THE COMPANY
KOPOS ELECTRO Ltd.
KIZIKI STR. 13, 0182 TBILISI
GEORGIA
TO REPRESENT OEZ s.r.o. AS AN OFFICIAL DISTRIBUTOR
IN THE TERRITORY OF GEORGIA, ARMENIA, AZERBAIJAN.
OFFICIAL DISTRIBUTOR ENSURES THE AVAILABILITY AND SALES
OF OEZ PRODUCTS FROM HIS READY STOCK.

CERTIFICATE VALIDITY 1. 10. 2014–31. 12. 2015
OEZ s.r.o. MAGDALENA VLČKOVÁ SALES DIRECTOR

კომპანია „KOPOS ELECTRO" საქართველოში, ელექტრო საინსტალაციო ნაკეთობების მწარმოებელ, ჩეხური ჰოლდინგის, „KOPOS KOLIN" შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. „KOPOS ELECTRO"-ს ასევე გააჩნია წარმომადგენლობები სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

„KOPOS ELECTRO" გახლავთ ჩეხური კომპანია „OEZ"-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. ბაზარზე 70 -წლიანი მუშაობის შედეგად კომპანია „OEZ"-ი, ავტომატური გამომრთველებისა და დამცავების მწარმოებლისაგან გადაიზარდა კომპლექსურ მომწოდებლად, პროდუქციისა და ელექტრონული ჯაჭვების, ასევე დაბალი ძაბვის აღჭურვილობის დარგში. 2007 წლიდან კომპანია „OEZ"-ი გახლავთ SIEMENS ჯგუფის წევრი. კომპანიის პროდუქციის პროგრამას წარმოადგენენ შემდეგი მასალები:

- სამოდულო ხელსაწყო (სერია Minia);
- კომპაქტური ავტომატური გამომრთველები (სერია Modeon);
- დამცავი სისტემები (სერია Varius);
- გამანაწილებელი ფარები და კარადები (სერია Distri);
- საკომუტაციო და მმართველი ხელსაწყოები (სერია Conteo).

კომპანია „OEZ"-ის პროდუქტი წარმატებით გამოიყენება ენერგეტიკის სფეროში, ინფრასტრუქტურაში, მრეწველობასა და მშენებლობაში.

KOPOS

OEZ 5

1941 ▸ 2016

Minia

Modeion

Arion

Varius

Conteo

Distri

ამბროლაურგზა-7



საგზაო-სამშენებლო კომპანია „ამბროლაურგზა-7“ 1937 წელს, გამოცდილი სპეციალისტების მიერ არის დაარსებული და იქიდან მოყოლებული მუდმივად ვითარდება.

შპს „ამბროლაურგზა-7“-ს ბატონი დავით მიქიაშვილი უკვე 4 წელიწადია ხელმძღვანელობს და კომპანიის ძირითად საქმიანობას გზების და ხიდების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, მათი ექსპლუატაციისთვის მომზადება და ინერტული თუ სამშებლო მასალების წარმოება-რეალიზაცია წარმოადგენს.

დღეისათვის კომპანიას გააჩნია, საკუთარი ბაზები ამბროლაურის რაიონში, საჭირო საგზაო მანქანა-მექანიზმები, მშენებლობისთვის შესაბამისი აღჭურვილობით და ასფალტის საწარმოო-გადამამუშავებელი ქარხანა.

საგზაო- სამშენებლო სფეროში კომპანიის დიდ გამოცდილებაზე მის მიერ პირნათლად ჩაბარებული ობიექტების ჩამონათვალი მეტყველებს. თავისი არსებობის მანძილზე შპს „ამბროლაურგზა-7“-მა მართლაც მნიშვნელოვანი მოცულობის საგზაო-სამშენებლო პროექტები შეასრულა და მზადაა სამუშაოები უგზოობის, დასახლებული პუნქტების არარსებობის პირობებში და ძნელად მისადგომ ადგილებში აწარმოოს.

ობიექტების მშენებლობის პროცესში კომპანია თანამედროვე მასალებსა და ტექნოლოგიებს იყენებს. სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობა და მაღალი ხარისხი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია, ხოლო ნდობა -წარმატების მთავარი საწინდარი. კომპანიის დიდი პასუხისმგებლობა შესაძლებლობას იძლევა ყოველთვის იყოს დაცული მშენებლობის ვადები და შესრულების პირობები.

შპს „ამბროლაურგზა-7“ ათეულობით თანამშრომელს აერთიანებს და მათი პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ. პროექტების ჩაბარება დროულად, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში ხდება. კომპანია მუდმივად ღებულობს მონაწილეობას ტენდერებში და შეკვეთას ყოველთვის პირნათლად ასრულებს.

კომპანია „ამბროლაურგზა-7“ ასრულებს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაკვეთებს

WWW.GUMBATIGROUP.GE
ვერეს უბანი
ბაუფლების ოფისი:
ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№1
+995 557 100 100
Mob:
+995 557 500 500
ბაუფლების ოფისი:
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №21
+995 599 525 525
Mob:
+995 599 522 522
welcome@gumbatigroup.ge
www.gumbatigroup.ge
ჯგუფი
GUMBATI GROUP
გუმბათი
მშენებლობა და განვითარება
მშენებლობა
და განვითარება
ქ.თბილისი,თარხნიშვილის ეკრა 2
5-6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მცე-პარკი - 2300
ფართობი: 10 000 კვ.მ ავტოფარეხი-2000 კვ.მ
მშენებლობის პერიოდი: (2013-2014) ბინები 50 კვ.მ - დან

სუბტროპიკსიტი
მრავალფუნქციური საცხოვრებელი ქომფლექსი

SUBTROPICITY
MULTI FUNCTION DWELLING COMPLEX
მშენებლობა და
განვითარება
WWW.SUBTROPICCITY.GE
1 SHERIF KHIMSHIASHVILI STREET, BATUMI
MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100
Info@subtropiccity.ge
ჯგუფი
GUMBATI GROUP
გუმბათი

ცხოვრება ზედმეტი ხარჯის გარეშე

ფასადის თერმოიზოლაცია